ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება „№58/01-01 “ „14”„06“ 2013წ.
დანართი №1

უცხოენოვანი გაცვლითი პროგრამები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

კანდიდატების შერჩევა 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის

1. **კონკურსის მიზანი:**
   კონკურსის მიზანია ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოპოვება 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისათვის.
2. **კანდიდატის შეფასება:**
   კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

მოტივაცია	10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია	10 ქულა
აკადემიური მოსწრება	10 ქულა

ქულების განაწილება ზეპირი პრეზენტაციისთვის, მოტივაციისთვის აკადემიური მოსწრებისთვის:

10 ქულა	ბრწყინვალე
9 ქულა	ძალიან კარგი
8 ქულა	კარგი
7 ქულა	დამაკმაყოფილებელი
6 ქულა	საკმარისი
5 ქულა და ნაკლები	არადამაკმაყოფილებელი

თუ აპლიკანტმა შეფასების ერთ–ერთ კომპონენტში მიიღო არადამაკმაყოფილებელი ქულა, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

გამარჯვებული და სარეზერვო კანდიდატების გამოვლენა მოხდება რანჟირების მეთოდით.